ო ქ მ ი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი 28 მაისი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. გოჩა სიჭინავა
8. შადიმან ჭილაია
9. კონსტანტინე ნასარაია
10. კახა ლატარია
11. დავით ცინაძე
12. რამინ ხილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

მოწვევით: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

ბიუროს წევრები: ე. ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ტ. ალექსანდრია - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

დ. გაბუნია - განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

კ. ლატარია - ფრაქცია „სამართლიანობისათვის" თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი:ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 17 მაისის N05/2315 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებლები: ვ. ქანთარია - ქონების მართვისადა ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები: სხდომას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი.

მომხრე - 12 **წინააღმდეგი** - **არც ერთი.**

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ

(მომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, სადაც ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე და განხორციელებულ პროექტებზე.

კომისიის წევრების მხრიდან დაისვა კითხვები იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელიც სამსახურის საქმიანობას შეეხებოდა. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა დასუფთავების სამსახურის საქმიანობაზე, მოსახლეობიდან მოსაკრებლის ამოღებაზე, ნაგვის ურნების ნაკლებობაზე. მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხები დასმულ შეკითხვებზე.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით ზემოთ აღნიშნული სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შეფასების თაობაზე.

შეფასების შედეგები:
არადამაკმაყოფილებელი - 0
დამაკმაყოფილებელი - 0
დადებითი - 12

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ

(მომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე და განხორციელებულ პროექტებზე.

კომისიის წევრების მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც შეეხებოდა სამსახურის საქმიანობას, რაზედაც გაიცა შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით ზემოთ აღნიშნული სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შეფასების თაობაზე

შეფასების შედეგები:
არადამაკმაყოფილებელი - 0
დამაკმაყოფილებელი - 0
დადებითი - 12

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 17 მაისის N05/2315 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებლები: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" (ოქმს თან ერთვის): 1) წარმოდგენილი განკარგულების პროექტით მუნიციპალიტეტის მერია შემოდის წინადადებით მიეცეს მერს თანხმობა შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას" საოფისე საქმიანობისათვის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაეცეს ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N202-ში მდებარე შენობის მე-2 სართულზე არსებული 46 კვ.მ ფართი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელშიც მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურთან შეთანხმებით შეტანილ იქნა გარკვეული შესწორებები, კერძოდ: ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (უსასყიდლო უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"; ბ) განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტების შესაბამისად:"; გ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაცემაზე, თანხმად დანართისა."; დ) გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი განკარგულების დანართშიც. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე. 2) წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წინადადების საფუძველზე მუნიციპალიტეტის დამატებითი ქონება ხეთის, თორსა-დღვაბისა და ქვემო ქვალონის ჭითაუშკურის წყალსადენი სისტემები მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის მიზნით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, თხოვების ფორმით გადაეცემა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას". გამომსვლელის განცხადებთ, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელშიც მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურთან შეთანხმებით შეტანილ იქნა გარკვეული შესწორებები, კერძოდ: ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"; ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემაზე, თანახმად დანართისა."; გ) გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი განკარგულების დანართშიც. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ წარმოთქმულა
კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი პროექტები კომისიის დასკვნებთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12, წინააღმდეგი – არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები წარედგინოს საკრებულოს ბიუროს

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია